# სახალხო გაზეთი

№ 516 შაბათი, 4 თებერვალი 1912 წ. № 516

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ [illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. [illegible] პარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა.

ფოსტის ადრესი: წერილებისათვის და ფულისათვის Тифлисъ, газ. Сахалхо газети, п. ящ. 190.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კ.**

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



ამით ვაცხადებთ, რომ

## „სახალხო გაზეთს“

ხელის მომწერთა შემკრები აგენტები არსად არა ჰყავს გარდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების **ტფილისის** წიგნის მაღაზიისა და ამიტომ ვინც **პირდაპირ „სახალხო გაზეთის“ კანტორიდან არ იწერს გაზეთს—პასუხსაც არ ვაგებთ.** ყველა წიგნის მაღაზიას შეუძლიან მიიღოს ჩვენ გაზეთზე ხელის მოწერა მხოლოდ თავისი პასუხის მგებლობით და ამიტომ ხელის მომწერლებმა პასუხისმგებლობაც მათ უნდა მოსთხოვონ.

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

სურათებიანი დამატება!

მიიღება ხელის-მოწერა

**წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) მიიღებენ სალიტერატურო კრებულს** გრდემლს.

1 თებერვლიდან წლის ბოლომდე ღირს 8 მან.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.


**„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობა და „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ საბჭო** აუწყებენ ნაცნობთა და პატივისმცემელთ, რომ ამ თვის 4-ს, შაბათს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ ქველმოქმედისა და საზოგადო მოღვაწის

**ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძის**

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი—12 საათზე. (1—1091 1)

**ანნა ბესარიონის ასული და გრიგოლ ნიკოლოზის ძე პაპიტაშვილები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღეს, 4 თებერვალს, ქ. გორის საკრებულო ტაძარში დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი პირველის—მეუღლისა, ხოლო მეორის—მამისა

**ნიკოლოზ გრიგოლის ძე პაპიტაშვილის**

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის მერე აკურთხებენ განსვენებულის ძეგლს. (1—231—1)

2 თებერვალს, ნაშუადღევის 3 საათზე დაბა სამტრედიაში ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**ირაკლი მახარებლის ძე სიხარულიძე,**

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის **ბიძა სპირიდონი, ძმები გიორგი, ტიტე და ისააკი სიხარულიძენი.**

შაბათს, 4 თებერვალს, დილის 10 საათზე განსვენებულის ცხედარს სამტრედიიდან გურიაში წაასვენებენ. დაკრძალვა სამშაბათს, 7 თებერვალს, სოფელ შუბანში. (1—1094—1)

**მიხეილ ზაქარიას ძე და ნინა ზაქარიას ასული გალუსტოვები, ივლიტა კაკაბაძისა, ალექსანდრა ჩაკვეტაძისა, ამბაკო პეტრეს ძე ჩაკვეტაძე,** სტუდენტი **ანანია ვასილის ძე კაკაბაძე და ივანე ივანეს ძე წივწივაძე** გულითადის მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველნი ოთხნი საყვარელ ძმისას, მეორე—ცოლის ძმისას, მესამე—ბიძისას და უკანასკნელნი ბიძის შვილისას—ქიათურის მეორე გილდის ვაჭრის

**ალექსანდრე ზაქარიას ძე გალუსტოვისას,**

რომლის გამოსვენებაც დანიშნულია 5 თებერვალს, კვირას, ნაშუადღევის 3 საათზე საკუთარ სახლიდან მიქელ-გაბრიელის ეკლესიაში, დ. ხონში. დაკრძალვა იქვე. პანაშვიდი ყოველ დღე 5 საათზ. (2—1093—1)

## ქართული თეატრი

შაბათს, 4 თებერვალს, 1912 წ. ელ. თარხნიშვილისა, მიხაილოვისა, ივ. სარაჯიშვილისა და ე. ბროჯის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

**რიგოლეტო**

ოპერა 4 მ. ჯუზეპე ვერდისა.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** დირიჟორი **ნ. გ. ქართველიშვილი.**

ჩაწერილი ბილეთები შეინახება მხოლოდ დღეს (2 თებ.) საღამომდე. ადმინისტრაცია ქართულ დრამ. საზოგადოებისა. (2—228—2)

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ. 100—1534—84)

**ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი.**

**კვირას, 5 თებერვალს, გ. იორდანაშვილი** გამართავს

## სალიტერატურო დილას სამს განყოფილებად:

I. **სარგის კაკაბაძე** წაიკითხავს ლექციას შემდეგს თემაზე:

**თამარ მეფე და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში.**

II და III: **სცენები, სიმღერები, ლექსები, კუპლეტები და მოთხრობა. ქართველ მომღერალთა გუნდი ქულაჯებში გამოწყობილი გ. კაპანაძის ლოტბარობით შეასრულებს ქართულ სიმღერებს.**

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ნ. დავითაშვილი და ე. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: ბ. ახოსპირელი, გ. აბრახაძე, ნ. გოცირიძე, ნ. გვარაძე, ი. ივანიძე, გ. იორდანიშვილი, გ. იშხნელი, ვ. მატარაძე, შ. საფაროვი და საგირაშვილი (დაუკრავს თარზე) დასასრულ ქ-ნი **ჩერქეზიშვილისა და თ-დი ციციშვილი გლეხურად იცეკვავენ ლეკურს.**

(3-227.3) ადგილების ფასი 5—50 კ.-დე. **დასაწყ. შუადღ. 1 ს.** გამგე **ი. უივიძ.**

**ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი**

**დღეს, 4 თებერვალს,**

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ

**მარიამ საფაროვ-აბაშიძის**

**ქართულ სცენაზე მოღვაწეობის 30 წ. თავზე მის პატივსაცემლად გამართულ იქნება საიუბილეო წარმოდგენა**

წარმოდგენილი იქნება: **პარიზელი ბიჭი,** თარგმანი ჯორჯაძისა.

2) **გულმა იგრძნო,** ვოდ. თარგ. ვ. აბაშიძისა.

**ჟოზეფის როლს შეასრულებს საფაროვ-აბაშიძისა.**

მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: საფაროვ-აბაშიძისა, მ. გოგოლაშვილი, რომანიშვილი, კორინთელი; ბ-ნნი გოცირიძე, მეტრეველი, ხონელი, ზურაბიშვილი, შანშიევი. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 12—2 ს., და საღამოს 6—8 ს. ადგილების ფასი 5—50 კ. **დასაწყ. საღ. 8 ს.** რეჟის. **ალ. წუწუნავა,** ადმინისტ. **ან. ჭიაბერაშვილი.** (1.1006·1)

შემდეგი წარმოდგენა გაიმართება 17 თებერვალს ბენეფისი რეჟისორის **ალ. წუწუნავასი.**

## პ. ს. დოროჟნოვის მაღაზიები

ა) **უმთავრესი,** სოლოლაკის ქუჩაზე, სახლი გურგენოვისა, ტელეფონი № 583.

ბ) **იაროსლავის მაღაზია,** მიხეილის ქუჩა, ლიუტერანთა ეკლესიის გასწვრივ, ტელეფონი № 838.

**შაბათს, 4 თებერვალს დაკეტილი იქნება**

**რადგანაც**

**უდიდეს**

**იაფ-ვაჭრობისათვის**

**ემზადება**

(2—1087—2)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| შინაგანი ავადმყოფ. | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.<br>**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.<br>**მალალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| სამეანო-ქალთა ქირურგიული | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| სამშობიარო ქალ. სნეულებანი | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.<br>**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ბავშვების ავადმყოფ. | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. ავადმ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.<br>**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურ. ყელ. ცხვ. ავ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3. |
| თვალ. ავ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½. |
| კან. ვენ. ავ. | **მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann რჩევისათვისა 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კაცეტერიზაცია; **„606“ წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—260)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10 2 ს.-მდე და საღამოს 5 7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა **ქაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 9-12 ს. საღამოთი 3-6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ, 1660.29)

იბეჭდება და თებერვლის დამლევს გამოვა

## აკაკი-ს თხზულების პირველი წიგნი,

რომელშიაც მოთავსებული იქნება **ახალი** ნაწარმოები ჯერ დაუბეჭდავ და აგრეთვე **ძველიც,** ზოგიერთის შენიშვნებითა და განმარტებით. წინასწარის ხელის მოწერით წიგნი ეღირება **ათ შაურად.**

ხელის-მოწერა შეიძლება ტფილისს:—წერა-კითხვის გამ. საზ. და „ცოდნა“-ს წიგნ. მაღაზიაში; ქუთაისს:—„კოლხიდის“ რედაქციაში, მთავრიშვილის წიგნის მაღაზ. და კანტ. „იმერეთში“. ბათომს -ნ. ა. საბაშვილთან; ფოთს—ი. კოხრეიძესთან; ყვირილას—წიგნის მაღაზიებში. (თ. 1044.15)

## ვასწავლი

ქართულ **სიმღერა-გალობას**

ჩ ვადგენ ქართულ მომღერალთა გუნდს.

**ორშაბათობით, ოთხშაბათობით** 4 ს.—6 საათამდე.

**შაბათობით, კვირაობით** 2 ს.—4 საათამდე.

მიიღებიან მოწაფეებიც და მუშებიც, იკითხეთ მიხეილ კავსაძესთან. ავჭალის ქ. № 29. სამოქალაქო სკოლის შენობაში. (6—1080—5)

ხელის მოწერა ჟურნალ

**წელიწადი მეოთხე.** **„მოსავალზე“** **წელიწადი მეოთხე**

**მიიღება 1912 წლისათვის მარტო ტფილისში.**

ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. ეღირება წლიურად 3 მანეთად. რედაქცია ეცდება შეძლებისდაგვარად უფრო ძვირფასი პრემია მიაწოდოს წლის თავზე ჟურნალის ხელის მომწერლებს. (3.1086.3)

**ამ წლის პირველ თებერვლიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური ქართული გაზეთი**

## „ცხოვრება“

**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთი წლით | 7 მან. | ერთ თვით ქუთაისში | 80 კაპ. |
| ნახევარი წლით | 4 „ | „ „ ქუთაისს გარეთ | 90 „ |
| სამი თვით | 2 „ 50 კაპ. | საზღვარ-გარედ ერთი წ. | 14 მან. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაურად.

**განცხადების ფასი:**

| | |
|---|---|
| პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი | 15 კაპ. |
| უკანასკნელ გვერდზე | 10 კ. |
| სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა | 3 მან. |

რედაქტორ-გამომცემელი **ბ. ჯულაყიძე.**

დროებითი ადრესი: Кутаисъ. Александровская ул. д. № 6. Савелію Трифоновичу Горгодзе.

ფული მიიღება **მხოლოდ** გორგოძის სახელზე. (7—1078—6)

## საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 226)

**დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად**

## „სიკვდილი ჩრდილოეთში“

დრამატ. ეტიუდ. 1 მოქმ. **გადასახლებულ. ცხოვრებიდან ს. ერთაწმინდელისა.**

პიესა სცენაზე წარმოსადგენად ნებადართულია. ფასი 5 კაპ. გამყიდველებს დაეთმობათ 3 კ. ასობით მყიდველებს 2 მ. 50 კ.

ადრესი: ტფილისი, ჰავჭავაძის ქ., გრაკლის შესახვ. № 37. სახ. კანდარელისა, სოლომონს. (2.226.2)

**ექიმი** პ. **არდაზიანი**

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12 ს. საღამოს 5--7. (25.899.36).

**ექიმი** **შ. ა. მიქელაძე**

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., №

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**. ბა. პოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606“ -**

(წლ. 1090 265)

**დოქტორი მედიცინისა**

## ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5--7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 100)

**ექიმი** **ვ. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9--11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

**ექიმი** კბილისა **იოსებ ზაქარიას ძე კანდელაკი**

მიიღებს დილით 9-დან 2-მდის და საღ. 4-დან 5-მდის. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხავს ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპ. № 7. (50--1552--33)

# სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდ ქუჩაზე, №3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

**ბოჟოვსკი.** ორშ., ოთხშ., პარასკ., კვირ. 4—5 საათ.

**არგუთინსკი**, შინაგ., ბავშვ. ყოველ დღე $9^1/_2$ სათ. 11 ს.

**მონსე.** ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ორშაბ., ოთხშაბ., პარასკ. $1^1/_2$—3 საათ.

**ნოვიცკი.** ქალთა ავადმყ., ყოველ დღე 1—2 საათ.

**კალამკაროვი.** ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12—1 სათ.

**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

**რიდელი.** შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა $11^1/_2$—1 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია.** ყელისა, ყურისა, ცხვირ. ყოველ დღ. 11—12 ს.

**რუდენკო.** შინაგ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

**ტერ-ნერსესოვი.** ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—$1^1/_2$ ს.

**იოსელიანისა** ქალთა ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

**ბაგდოევისა**, კბილ. ყოველ დღე 3—5 ს.

**ლიმონი.** კბილ. 10—11 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (თ. 1032—49).

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
# მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 67).

# ექიმი გ. მ. ღოღობერიძე

იღებს ავადმყოფებს საღამოობით 4—6 საათ. წამლობა ფოსფაციდით. კირპიჩნის შესახვევი, სახლი სვიმონოვისა, № 16, ტელ. 693. (თ—1657—31)

# ექიმი ე. ი. მინასიანცი

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—86).

# ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყოფობას. **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

ავადმყოფთა მიღება ნაშუადღევის 3—$5^1/_2$ საათამდე, **ელისაბედის ქუჩა**, № 94, საფოსტო განყოფილების პირდაპირ. (თ.—183—16)


# სახელმწიფო სათათბირო

გარეშეთა დაუსწრებლად, **ვოლკონსკის თავმჯდომარეობით** განაგრძობენ სამხედრო ბეგრის დებულებათა შეცვლის კანონ-პროექტის განხილვას. სათათბირომ მიიღო კომისიის მიერ შემუშავებული რამოდენიმე მუხლი **გუჩკოვისა და სინადინოს** შესწორებით, უარჰყვეს **კრიდმანის** წინადადება 64 მუხლის გამორიცხვისა, რომელიც სამხედრო საკრებულოებს უფლებას აძლევს თუ ექვს შეიტანს ებრაელთა ოჯახურ მდგომარეობის შესახებ წარდგენილ ცნობებში, მოითხოვოს დამატებითი ცნობა პოლიციისაგან დამოწმებული. 74 მუხლი, რომელიც მესამე ხარისხის შეღავათს ეხება **ოპოჩინინის** შესწორებით მიიღეს.

80 მუხლის შესახებ **ოპოჩინინი** ამბობს: გამოურკვეულია, რომ განაპირა გუბერნიებში ოთხჯერ მეტი ნაწილი გაურბის სამხედრო ბეგრის მოხდას, ვიდრე ცენტრალურს გუბერნიებშიო. ამდენ ხანს დანაკლისს სხვა თანამემამულეთაგან ავსებდნენ, ხოლო ახალი კანონ-პროექტის ძალით კი შიდა გუბერნიელ რუსებს დააწვებათ კისერზე. მოლაპარაკე წინადადებას იძლევა მთელი იმპერიის დაყოფის მაგიერ, გუბერნიების დაყოფა შემოვიღოთო.

**პაკლოვიჩი.** კადეტები ემხრობიან საიმპერიო დაყოფას, მაგრამ ვერ შეურიგდებიან იმ გარემოებას, რომ სამხედრო მინისტრს უფლება ექლევა თავის ნებით მოიწვიოს, რამდენიცა ჰსურს იმდენი ახალგაზდა. გარდა ამისა შეუძლებელია დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ ცალკე ნაწილების უფროსებს უფლება ჰქონდეთ ზედმეტ პირების სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლებისა.

მომხსენებელი იცავს კომიის რედაქციას.

**სამხედრო მინისტრის თანაშემწე** ეთანხმება მომხსენებელის აზრს და ოპოჩინინს უპასუხებს, რომ საგუბერნიო დანაწილების მიღება ჯარის ინტერესების მხრივ სრულიად შეუწყნარებელია.

**ოპოჩინინი** უპასუხებს მომხსენებელსა და ხამხედრო მინისტრის თანაშემწეს: ბევრი საბუთი მაქვს ჩემის მოსაზრების დასამტკიცებლად, მაგრამ საზოგადო სხდომაზე მათი განხილვა ძნელია და კომისიაში კი, შესწორების განხილვის დროს, წარმოვადგენო.

80 მუხლი კომისიის რედაქციით მიიღეს.

საღამოს სხდომას **როძიანკო** თავმჯდომარეობს.

იხილავენ მიწად-მოქმედებისა და მიწათ-მომწყობის მთავარ-გამგისადმი მიმართულ შეკითხვას ამურის მხრისა, ირკუტსკისა და თურქესტანის გენერ.-გუბერნატორების მიერ თევზაობის შესახებ გამოცემულ საყოველთაო დადგენილების გამო.

განსახილველია შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის ზოლოტარევის განმარტება დონეცკო-იურიევის მეტალუგიურ ქარხნებში დამცველ პოლიციის აგენტის ხოროლსკის პროვოკაციურ მოქმედებათა თაობაზე.

მომხსენებელი **პილიპენკო** მინისტრის ამხანაგს ზოლოტარევს ბრალსა სდებსო, საქმის ვითარება სინამდვილით არ გადმოგვცაო. ხოროლსკი გაამართლეს მხოლოდ ტერორისტულ აქტის მოწყობის ბრალდებისაგან, ხოლო იგი, როგორც პროვოკაციის ჩამდენი პასუხის-გებაში არასოდეს არ მიუციათო. ოქტომბრისტთა სახელით მოლაპარაკე ასეთ ფორმულას აქვეყნებს: მივიღეთ მხედველობაში, რომ მინისტრის ამხანაგმა საქმე სინამდვილით არ გადმოგვცა, რომ ხოროლსკი, თვისი მოქმედების გამო არასოდეს არ ყოფილა მიცემული პასუხის გებაში, რომ სამხედრო სასამართლოს გამართლებას არ შეეძლო ხელი შეეშალა ხოროლსკის პასუხის გებაში მიცემისათვის, რომ შინაგან საქმეთა მინისტრს არავითარი ზომები არ მიუღია უდანაშაულოდ დასჯილი ბობროკინის უფლებათა აღდგენისათვის და დამნაშავე პირთა პასუხის გებაში მიცემისათვის, სათათბიროს ვერ აკმაყოფილებს მთავრობის განმარტება და ფიქრობს, რომ მთავრობა ვალდებულია დაუყონებლივ მისცეს სისხლის სამართალში ხოროლსკი და მისი თანამშრომელი გადადის მორიგ საკითხთა გარჩევაზე.

**შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს** დამატებითი განმარტება შემოაქვს და აღიარებს, რომ სამინისტროს არ შეეძლო ხოროლსკის სამართალში მიცემისა.

**კუზნეცოვი.** ხოროლსკი ეხლაც დამცველ განყოფილებაში მსახურებს. მუშათა ლეგალურ საპროფესიო კავშირის დასახურად, იგი შენობის ქვეშ ბომბებს აწყობს. ეს ყოველივე კარგად იცოდა ბოქაულმა სტოიანოვმა.

**მაკლაკოვი.** მინისტრის ამხანაგის განმარტება არამც თუ არ გვაკმაყოფილებს, გვაოცებს კიდეც. შინაგან საქმეთა სამინისტროს ხშირად განუცხადებია: პროვოკაციას ვერ მოვითმენთო; როდესაც პროვოკაციის უმარტივესი შემთხვევა აღმოჩნდა გვეგონა, იგი სწორედ აქ გამოიჩენდა თვის ძალას და აღთქმას აასრულებდა, მაგრამ იგი თავის უძლურებაზე გვითითებს. რა ზომები მიიღო მან პოლიციის ბოქაულისა და დამცველი განყოფილების აგენტის წინააღმდეგ? არავითარი.

**ზამისლოვსკი.** მხარს არ დაუჭერს ოქტომბრისტთა ფორმულას, ვინაიდგან სამინისტროს განმარტება სრულიადდ ამაკმაყოფილებელია.

სათათბირომ მიიღო ოქტომბრისტების ფორმულა.

განსახილველია კავკასიის ნამესტნიკის წარმომადგენელის განმარტება შორაპნის მაზრაში ადმინისტრაციის უკანონო მოქმედებათა შეკითხვის გამო.

**გეგოჭკორი.** თავადმა ამილახვარმა გლეხებს მიჰყიდა მიწა, რომელიც მას არ ეკუთვნოდა. ამიტომ გლეხებს დავა აუტეხეს. გადასახადების აკრეფის დროს, სამხედრო ძალაც მოქმედებდა, ბევრგან სახლები გაუყიდეს გლეხებს და ძალმომრეობაც იხმარეს. თუ სათათბირო დაკმაყოფილდება მთავრობის განმარტებით, მაშინ ადმინისტრაცია ამილახვარის გამოდავებით კვლავ გადაახდევინებს გლეხებს ფულს ფაქტიურ საბუთის ძალით.

კავკასიის ნამესტნიკის წარმომადგენელი სენატორი **ნიკოლსკი** გეგეჭკორს უპასუხებს, ადმინისტრაციას არავითარი ძალმომრეობა არ ჩაუდენია. პოლიცია შუამდგომლის როლს თამაშობდა. გლეხები პირიქით მადლობას უხდიდენ ნამესტნიკის წარმომადგენელს დახმარებისთვის.

**შინგარიოვი.** საბუთი გვაქვს, რომლითაც თავადი ამილახვარი ცნობილი არ არის იმ ადგილის მფლობელად და გლეხებს კი ფულს ახდევინებენ.

**ანდრეიჩუკი.** მთავრობის განმარტება სრულიად ვერ გვაკმაყოფილებს.

**გეგოჭკორს** ფორმულა შეაქვს, მთავრობის წარმომადგენელის განმარტება ვერ გვაკმაყოფილებსო.

**ვიშნევსკი.** მხარს უჭერს შეკითხვას, ვინაიდან მოქალაქობრივი დამოკიდებულებათა გარკვევა სამხედრო ძალით წარმოუდგენელია.

გეგეჭკორის ფორმულა მიიღეს.

შემდეგი სხდომა პარასკევს მოხდება.

# სახელმწიფო საბჭო
(დეპეშები)

**აკიმოვი თავმჯდომარეობს.** აირჩიეს შემთანხმებელ კომისიის წევრები. მიიღეს სათათბიროს რედაქციით კანონ-პროექტი საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ წერილებისა და საფოსტო ამანათის შესახებ. მიიღეს აგრეთვე 1912 წლის ხარჯთაღრიცხვა. იხილავენ საშუალო-სასწავლებელთა მასწავლებლების ნივთიერ მდგომარეობის გამაუმჯობესებელ კანონ-პროექტს.

**მომხსენებელი ბრაზოლი** კანონ-პროექტის მნიშვნელობას განმარტავს.

**ბაგალეი.** კანონ-პროექტს დიდი მნიშვნელობა აქვს და მისაღებიც არის.

**ფონ-კუფმანი.** მუხლობრივი განხილვას თხოულობს და ამბობს: მთავრობამ შეიმუშავოს კანონ-პროექტი მასწავლებელთათვის დამატებით ბინის ფულის მიცემისა იმ ადგილებში, სადაც ცხოვრება ძვირია. ფორმულა მიიღეს.

**მინისტრის ამხანაგები ვებერი და ტაუბე.** მთავრობა სიამოვნებით შეასრულებს საბჭოს სურვილს.

სხდომის განახლებისას მიიღეს **ზინოვიევის** განცხადება. რათა განხილულ იქმნეს სათათბიროს მიერ შემუშავებული კანონ-პროექტი სამხედრო ბეგრის მოხდენის შესახებ.

შემდეგ მუხლობრივ იხილავენ საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა ნივთიერ უზრუნველმყოფელ კანონ-პროექტს.

საფინანსო კომისიის ყველა წინადადებანი მიიღეს.

**იზვოლსკის** წინადადებით დაცულ იქმნა მეექვსე, განყოფილება, რომლითაც იმ პირთ, რომელთაც უმაღლესი სწავლა არ მიუღიათ, ისეთივე ჯამაგირი მიეცმათ ზედმეტ გაკვეთილებისათვის, როგორიც იმ პირთ, რომელთაც უმაღლესი სწავლა მიუღიათ.

მრავალ ცვლილებათა გამო კანონ-პროექტი შემთანხმებელ კომისიას გადასცეს.

შემდეგი სხდომა 8 თებერვალს მოხდება.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ დღეს შუადღის 12 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში გარდახდილ იქნება პანაშვიდი **ნ. ბ. ღოღობერიძისა.**

✦ პარასკევს მოხდება იურიდიულ საზოგადოების წევრთა კრება საოლქო სასამართლოს შენობაში, სადაც ბ-ნნი გ. გვაზავა და ჟორდანია წაიკითხავენ ლექციებს.

✦ გარდაიცვალა ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი **ხმელევსკი.**

✦ **სახალხო კითხვა** კავკასიის საიმპერატორო სამედიცინო საზოგადოების დარბაზში სახალხო კითხვას, (გეორგიევის ქ. სახლი № 4 ალექსანდროვის ბაღთან). შაბათს, 4 თებერვალს დანიშნულია საბავშო კითხვები; ბ-ნი დარაგანი წაიკითხავს: „ბედნიერი პრინცი". ამავე დღეს ბ-ნი აგაბაბი სომხურ ენაზე წაიკითხავს $9^1/_2$ დღის 11 საათამდე: „ყველიერი". ქ-ნი ავალიანი ქართულად: „ქოხი ბიძია თომასი". დიდებისთვის ექიმი მხიტარიანცი სომხურ ენაზე: ვენერიულ ავადმყოფობაზე." კითხვას დაერთება ბუნდოვანი სურათები.

✦ 3 თებერვალს დილის $5^1/_2$ საათზე **ჩამოახრჩვეს ნოე გიორგის ძე რამიშვილი,** რომელსაც ბრალდებოდა სამხედრო პირთა იარაღით წინააღმდეგობის გაწევა, უნტერ-აფიცრის მოკვლა, დაჭრა რემიზოზოვისა, ჯარისკაცის კუზმინერისა ფომინისა და ჩაფრის ცხოვრებაშვილისა.

✦ 1 თებერვალს 9 უპასპორტო კაცი შეუპყრია პოლიციას.

## ქუთაისი.

✦ **დ. ს. მესხს თხოვნა** მიუცია და ნებართვას თხოულობს მისი რედაქტორობით ქუთაისში გამოსცეს ყოველდღიური გაზეთი—**შრომა.**

დაიკეტა ქალაქის აფთიაქის ფილიალური განყოფილება და უადგილოდ დარჩა 2 ფარმაცევტი, 2 მოწაფე და ორიც მსახური.

✦ კავკასიის სამთო-მადნო სამმართველომ დაამტკიცა **შავიქვის მრეწველთა** მე-14 კრების დადგენილებანი, რამდენიმე ხარჯის გამორიცხვით. სხვათა შორის წინადადებას იძლევა არავის აღარ მიეცეს განთავისუფლებული სტიპენდიები და არც დახმარება.

✦ **ქალაქის თვითმართველობას** აღუთქვამს პირველი საქალაქო სასწავლებლისათვის ყოველ წლიური დახმარება 1010 მანეთი. 1908 წ. დარჩენილა გადაუხდელი 3520 მანეთი. ქალთა უფასო სასწავლებლის კი, რომელსაც ყოველწლიურად აძლევს ქალაქი 1400 მანეთს, დარჩენილა 1050 მანეთი; სახალხო სკოლების დირექტორის თხოვნით, გუბერნატორი წინადადებას აძლევს ქალაქის გამგეობას, რაც შეიძლება მალე დააკმაყოფილოს ხსენებული სასწავლებლები.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა წარუდგინა ხელმწიფის მოადგილეს შუამდგომლობა დ. ხონელ კაკაბაძისა, რათა მას ნება მიეცეს ქუთაისს, ხონსა და სამტრედიას შუა **ავტომობილების მიმოსვლისა.**

✦ რამდენიმე პირთ განუზრახავთ გახსნან **სოფ. ბარცხანაში კოოპერატიული პურის საცხობი დუქანი.** წესდება უკვე შეუდგენიათ და ამ დღეებში წარადგენენ სათანადო მთავრობასთან დასამტკიცებლად.

✦ დიდმარხვის მეორე კვირაში ქუთაისის დრამ. დასი მიემგზავრება ტფილისს, სადაც გამართავს რამდენიმე წარმოდგენას: „ტაიფუნ"ს „ჰანელეს" „შარჟს" და „უკანასკნელნი"ს

✦ ამავე კვირაში აქ ჩამოვა ტფილისის საოპერო დასი, რომელიც გამართავს ქალაქის თეატრში ექვს წარმოდგენას.

✦ ეს სამი დღეა ქუთაისში **გადაუღებლად წვიმს.**

✦ **რუსეთის მრეწველთა პირველ კრებაზე** პეტერბურგში მისაწვევი ბარათი მიიღო ქუთ. ქალქის გამგეობამაც, ეს კრება აპრილში მოხდება. („ცხოვ")

✦ სახაზინო პალატამ დაადგინა **ჩაირიცხონ ქუთაისის მოქალაქეთ:** ალექსანდრე კიკვაძე, რაჟდენ ქარხალაშვილი და ბესარიონ ქარცივაძე.

✦ ქალაქის სამკურნალო-სასანიტარო კომისიამ 28 იანვარს დაადგინა მოიწვიოს ახალ ქირურგიულ საავადმყოფოში ახლად კურს დასრულებული ექიმი, რომელსაც დაენიშნება წელიწადში—600 მანეთი, ბინა და სასმელ-საჭმელი. („კოლ".)

## ბ ა თ ო მ ი.

✦ **„ნურიე-გელის" ტბაში** ბავშვების ანკესით თევზებს იჭერენ და თბილ დარებში მეეტლეები ცხენებს ჰბანენ და თვითონაც ბანაობენ. ამის გამო ბ. სამხედრო გუბერნატორი წინადადებას აძლევს ქალაქის გამგეობას, რომ ტბის წყლით სარგებლობა აკრძალულ იქნას, რადგან გამოკვლევას აღმოუჩენია ტბაში სახადის ბაცილები.

✦ **ექიმის დანიშვნა.** ბათომის კარანტინის ექიმად დაინიშნა კობულეთის საავადმყოფოს ექიმი ბ. **ეფენდიევი.**

✦ 1 ივლისს ბათომში ჩამოვა პავლეგრადის საქალებო გიმნაზიის **მოწაფეთა ექსკურსია,** რიცხვით 40 ქალი. ამის გამო გიმნაზიის გამგე სთხოვს ქალაქის გამგეობას ექსკურსიას ბინა დაუთმოს. ექსკურსია დაჰყოფს ბათომში ხუთს დღეს.

✦ კვირას, 5 თებერვალს დილის 11 საათზე **ქართული სკოლის შე-**

# „საწყალი ნიკოლაძე"

ერთ ოჯახში ბაასი ასტყდა ერთის შემთხვევის გამო. ცოლ-ქმარი გაყრილიყვნენ. ქალს ქმრისათვის თავი დაენებებინა და წაჰყოლოდა იმ კაცს, რომელსაც გული მისი შეეპყრო. პატიოსნად, რიგიანად, გულმართლად განეცხადებინა ქმრისათვის, რომ მასთან ცხოვრება აღარ შეუძლიან და წაჰყოლოდა იმ კაცს, რომელიც მისი გულის უფლად მიაჩნდა. ქმრის ღალატი სამარცხვინო საქმედ მიაჩდა და აშკარა მოქმედება არჩია, თავისის სინიდისის ბრძანებას დაემორჩილა. თუმცა წინდაწინ იცოდა, ძიმწარეს ბევრს დაალევინებდნენ. იმ ოჯახში, სადაც ამ ქალის შესახებ სჯა და კამათი იყო, ქალს, რასაკვირველია, ბევრი მათრახები მოჰხვდა. მაგრამ ყველაზე უფრო გაწიწმატებული ერთი ქალი იყო, ყველაზე უფრო უშვერად ის აგინებდა ქალს და ყოველ სიტყვას დაამთავრებდა ხოლმე შემდეგის რეფრენით: „ღმერთო ჩემო! ქალი, რომელიც უღალატებს ქმარსა და ოჯახს, სულ ნაკუწ-ნაკუწად უნდა დავფლითოთო". ამ ქალბატონს ყველა კარგად იცნობდა, ყველამ კარგად იცოდა, რომ ქმრის შუბლს რქების სამკაულს არ აშორებდა და ოჯახში თვით უბინძურესი გარყვნილება შეჰქონდა. იმისი გაცხარება ყველას აოცებდა, ყველას უცნაურად მიაჩნდა ამ მანდილოსნის ზნეობის მოსარჩლეობა. შემდეგ ჰკითხა მან, რომელმაც ყველაზე უფრო კარგად იცოდა მისი „მაღალზნეობრივობა: „თქვენ ეგრე რატომ ცხარობდით, მაგის ნება რომ არ გქონდათო". „ჩემო კარგო,—უპასუხა ურცხვად ქალმა,—მე თუ ჩემ ქმარს ვღალატობ, იმიტომ, რომ არ მიყვარს და გარდა ამისა საქვეყნოდ, საბიაბრუოდ ხომ არ გამომყავს, ეს ყოველივე ჩუმად და ფარულად ხდებაო.

სწორე ეს შემთხვევა გამახსენა ბ. ნ. ნიკოლაძის წერილმა გაზეთ „ზაკ. რეჩის" მესამე ნომერში გამოქიმულმა: ყველა შულერია, ყველა ურცხვია, ყველა ცრუა, ვინც კი გაბედავს და ბ. ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობას არ ადასტურებს. „მე თუ ვღალატობ ჩემ ქმარს, იმიტომ, რომ არ მიყვარს და მერმე ჩუმად ვახერხებ მის მოტყუებას—აი ლოღიკა და მორალი ასეთის ვაჟბატონებისა.

ქუჩის დიაცი სხვას, რიგიან დედაკაცს თავზე ლაფს ასხამს. ვითომ და რას წააგებს? მისი ცხარე ლაპარაკი ზოგს შეცდომაში შეიყვანს და მის სიწმინდეს დააჯერებს და ვინც არ დაიჯერებს, ვინც კარგად იცნობს, მათ შორის მისი სახელი უკვე „გატეხილია. მაშასადამე რა უნდა აწუხებდეს?

ჩვენ გვინდა აქ ეხლა შევეხოთ კერძო საკითხს, იმ საკითხს, რომლის შესახებ ბ. ნ. ნიკოლაძე ჩვენ (ბ. გ. ზდანოვიჩსა და მე) „შულერობას" გვწამებს.

1909 წლის ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა მეთორმეტე კრებაზე ბ. ნიკოლაძე შემოიჭრა გაფთრებული.

**თავმჯდომარე...** როგორც სჩანს, თქვენ (ბ. ნიკოლაძეს ეუბნება) იმ აზრისა ხართ, რომ საფუთო გადასახადის გადიდება საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეცვლილი იქმნება მარგანეცის მრეწველთა კრების შესახები წესდება.

**ნ. ი. ნიკოლაძე.** სრული სიმართლეა. ეს წესდება მარგანეცის მრეწველობისათვის სასიკვდინოა. და შემდეგ განაგრძო... „მართალი მოგახსენოთ, ჩემი განცხადება პირდაპირ დამოკიდებულია იმ შეხედულობაზე, რომელიც არსებს მთავრობის დაწესებულებებში ამ საგნის შესახებ და საქმე არა მაქვს იმასთან რას გადასწყვეტს კრება. (ბ. ნიკოლაძეს ყველგან მთავრობის აგენტად მოაქვს თავი, აქაც იმას ამბობს: საფუთო გადასახადის მომატებაზე დასთანხმდება მთავრობა, თუ თქვენ წესდებას მისის სურვილის თანახმად შესცვლითო, კ. ა.). კრებასა აქვს ნება ითხოვოს, ხოლო თხოვნის გადაწყვეტა კი მთავრობაზეა დამოკიდებული, მთავრობისათვის კი **მე ვიცი** (ხაზი ჩემია) უაღრესი მნიშვნელობა აქვს იმას, რა ცვლილება იქმნება შეტანილი წესდებაში: **თუ ეს ცვლილებანი გარანტიას მოგვცემენ იმისას, რომ მომავალში არ ჩაიდენენ ბოროტ-მოქმედებას,** მაშინ საფუთო გადასახადის მომატება გადაწყდება თქვენდა სასურველად".

ამაზედ ბ. ნიკოლაძეს პასუხი გასცა თქვენმა უმორჩილესმა მონამ. ჯერ გავიკვირე, რა როლში მოევლინა კრებას ბ. ნიკოლაძე, მთავრობის აგენტად, თუ ფოთის ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელად. შემდეგ გავიკვირვე, რა ბოროტ-მოქმედების შესახებ ლაპარაკობს ბ. ნიკოლაძე, როცა არც ერთ რევიზიას, თვით მთავრობის განსაკუთრებულ რევიზიასაც, რომლის გამოწვევაში ბ. ნიკოლაძეს „დიდი" ღვაწლი მიუძღვის,—თვით ამ რევიზიასაც არა აღმოუჩენია რა დასაძრახისი საბჭოს მოქმედებაში. მაშინ იყო, რომ ბ. ნიკოლაძემ „შულერები" დაგვიძახა: „ჩემი სიტყვები გადაამახინჯეთ, მე იმ ბოროტმოქმედების შესახებ ვლაპარაკობდი, რომელიც შეიძლება შემდეგში მოხდესო".

ნუ თუ ცხადზედ უცხადესი არ არის, რომ მომავალში ბოროტ-მოქმედების საფრთხე მხოლოდ ისეთ დაწესებულებას და ისეთ ადამიანს მოელის, რომელიც წარსულში ჩვეულია ამას. ეს დაწესებულება ათი თხუთმეტი წელიწადი არსებობს. მისი მოღვაწეობა ბოროტ-მოქმედების მხრით ყოველს ეჭვს გარეშეა. რამდენი არ ეცადა ბ. ნიკოლაძე თავისი ამქრებით მაგრამ ამგვარი ვერა აღმოაჩინა რა. ბ. ნიკოლაძეს რომ ყველგან ბოროტმოქმედება ელანდებოდეს აქ გასაკვირველი არაფერია „ის, ვინც ჩუმად ღალატობს თავის ქმარს", ყველა მოღალატედა და ვერაგად მიაჩნია. ბევრი ეცადა. ბევრი ჯაფა გასწია ბ. ნიკოლაძემ, მაგრამ ვერ აღმოაჩინა მარგანეცის მრეწველთა საბჭოში ეს ბოროტმოქმედება, ეს „ღალატი". მაშასადამე ის წესდება, რომელიც აქვს მარგანეცის მრეწველთა კრებულს, სრულიად უზრუნველ ჰყოფს მის მოღვაწეობის ბოროტ-მოქმედებისგან. აბა, ნახულა და გაგონილა, ქალი ქმრის უერთგულესი მეუღლე იყოს და კიდევ საჭურისი დაუყენონ მცველად. გაგონილა, დაწესებულება ყოვლად უმწიკვლო იყოს და ის საფუძველი, რომელზედაც ის იდგა, გამოაცალოთ და ახალი ჩაუყაროთ, შემდეგში ბოროტ-მოქმედება არ ჩაიდინოსო.

ნუღარ გავიხსენებთ იმას, რომ ბ. ნიკოლაძემ აამოძრავა მთელი ადმინისტრატიული და პარლამენტური მანქანა საბჭოს მოღვაწეობის წინააღმდეგ. თავი დავანებოთ, თუ გნებავთ, მარკოვის, ამ ბ. ნიკოლაძის alter ego-ს, გამოლაშქრებას საბჭოს მოღვაწეობის წინააღმდეგ. თვით ზემოხსენებულ მარგანეცის მრეწველთა მეთორმეტე კრებაზე. ბ. ნიკოლაძემ ილაპარაკა არა მარტო „მომავალ", არამედ „წარსულ ბოროტმოქმედების" შესახებ: „შეუძლებელიაო,—ბრძანა ბ. ნიკოლაძემ, —დავსტოვოთ საქმე იმ მდგომარეობაში, როგორც ეხლა არის და იყო უწინ როცა საბჭო კრებისაგან გადაწყვეტილ 12000 მან. მაგიერ ხარჯავდა 130000 მ. აბანოზედ[1]".

მაშასადამე ბ. ნიკოლაძე, როცა ამბობდა „მომავალ ბოროტ-მოქმედების შესახებ, წარსული ჰქონდა მხედველობაში.

რამდენად უნდა დაეცეს ადამიანი, რომ სხვას შესწამოს აზრის სიმრუდე მაშინ, როდესაც თვით ისეთს საზიზღარ საშუალებას მიმართავს, როგორც ინება ბ. ნიკოლაძემ იმავე მარგან. მრეწველთა მეთორმეტე კრებაზედ. ბ. ნიკოლაძე არწმუნებდა კრებას დეპუტატ გუჩკოვს საათნახევარი ველაპარაკე და კრებას საფუთო გადასახადს არ მოუმატებენ, თუ საბჭომ ფული დახარჯა ხოლმე არამრეწველობისათვის, არამედ **სხვა რასმეზედაო**[2]).

საბჭოს თავმჯდომარე მსთხოვა ქუთაისის დეპუტატ ბ. გეგეჭკორს გამოეკვლია ეს საქმე და აღმოჩნდა რა? ის, რომ დეპუტად გუჩკოვს ბ. ნიკოლაძესთან კრინტიც არ დაუძრავს მარგანეცის მრეწველთა კრებისა და მისი საქმეების შესახებ. ეს ხომ გაზეთებში იყო გამოცხადებული, და მაშინ ბ. ნიკოლაძემ პირში წყალი ჩაიგუბა. დღეს კი ისევ ალაპარაკდა და საზოგადოებას იწვევს ჩვენს გასასამართლებლად. ჩვენში რომ საზოგადო აზრი არსებობდეს და „ჩუმად მოღალატეთ" სათარეშოდ არ იყოს გადაქცეული, ბ. ნიკოლაძის, ვერაგობისა სიკრუის მორევში ჩაფლულ პუბლიცისტის ნაწერები, ადგილსაც ვერ იშოვიდა რომელიმე გაზეთში. ხოლო იმ მოსაზრებით ბ. ნიკოლაძის წერილების დასტამბვა, რომ ოდესღაც არსებობდა ბ. ნ. ნიკოლაძე, ახალგაზდა ნიჭიერი პუბლიცისტი, რომელიც, სანამ თავის სულის კვეთებას გამოაშკარავებდა და მრუდე გზას აირჩევდა, ჩვენს საუკეთესო

[1]) იხ. труды XII очер. съѣзда. Марганцепр. Кут. 1910 გვ. 69—75.

[2]) რა შედეგი მოჰყვა საზოგადო საქმისათვის ბ. ნიკოლაძის იმგვარ უთავბოლო ლაპარაკს, ეს ყველამ იცის, ვინც ახლო სდგას ჩვენ საზოგადო საქმეებზედ.

ნობაში გამართული იქნება საბავ-შვო სალიტერატო დილა. მონაწი-ლეობას მიიღებენ ხსენებული სკო-ლის მასწავლებლები. დილაზე და-სასწრებლად მოწვეულ იქნებიან მშობლებთან ერთად გამგეობისა და სამზრუნველო კომიტეტის წევრები, სახალხო სკოლების ინსპექტორი, ბ-ნი გ. ტერ-გასპარიანცი, ნაისპექ-ტორალი ბ-ნი მაჭავარიანი. ქალაქის სკოლების მასწავლებლები და სხვა-ნი. (ბათ. გაზ.).

## ბაქო

**ბაქოს ნავთსადგურ ქვეშ ზღვის მხრივ ხვრელი აღმოაჩინეს.** რო-გორც სჩანს აქედან კაი ხნის განმავ-ლობაში უპარნიათ საწყობებში შე-ნახული საქონელი. ორი დამნაშავე შეიპყრეს და ციხეში გაისტუმრეს.

✦ **საარჩევნო შეთანხმება** სო-მეხთა და რუსთა შორის ამ ნიადაგ-ზე მოხდა: სომხებმა რუსებს 2 ხმო-სნის ადგილი დაუთმესს ქალაქის საბ-ჭოში. ხმოსნობაზე უარი განაცხადეს უკვე არჩეულთ ს. ა. ადამიანცმა და ი. ა. მაჭარიანცმა. მათი ადგილი და-იჭირეს კანდიდატებმა ი. ი. კოლეს, ნიკომმა და ი. ს. სკომელევმა. ამ სახით ქ. ბაქოს ქალაქის საბჭოში იქნება 40 მუსულმანი, 22 სომეხი. 18 რუსი. კანდიდატებად: 3 რუსი, 3 მუსულმანი, 1 სომეხი.

## კავკასი

✦ კავკასიის მთავარმართებლის განკარგულებით ჩეჩნების 172,589 კომლს ჯარიმად გადაახდევინეს 45,125 მ. 37 კ. ეს ჯარიმა იმან გა-მოიწვია, რომ ქერქეთის უღელ-ტე-ხილთან **ზელიმ-ხანი** დასცემია გზა-თა კომისიას.

✦ როგორც ოლქის საბეითლო ნაწილის ექიმმა გამოაცხადა, **არას-ლანდის სტანიცაში** სხვილ-ფეხა სა-კლავ საქონელზე ასეთი მაზანდა ყო-ფილა: ხარი, წონით 10 ფუთი 41 მან. ძროხა, წონით 7 ნახ. ფუთი—30 მ. დეკეული—9 ფუთი—40 მან. 50 კ. მოზდოკში ხარი 8 ნახ. ფუთი—34 მ. დეკეული—7 ფ.—28 მ.

✦ 29 იანვარს, **ქართულ სკო-ლის დარბაზში** გაიმართა საბავშვო დღესასწაული. ბავშვებმა ითამაშეს საყმაწვილო პიესა „შობის ხე". შე-გირდებმა წაიკითხეს ბიოგრაფიული ცნობანი ი. ჭავჭავაძისა, აკაკი წე-რეთლისა, ევდოშვილისა და სხვა. წაიკითხეს ლექსები. ბოლოს ბავ-შვებს ტკბილეულობა და სხვა საჩუ-ქრები დაურიგეს. დღესასწაულმა მხი-არულად ჩაიარა. დღესასწაულს შე-გირდების გარდა მათი მშობლებიც დაესწრნენ.

## პროვინცია

✦ **ს. დრანდა.** (წყაბა). ამ დღე-ებში, იქ დატრიალდა შემდეგი გუ-ლშემზარავი უბედურება. ტყის მცვ-ელს მუსურიძეს—დიდი ხანია ეჭვი ჰქონი ცოლზე, მოღალატობსო, და თან ამ საქმეს ცოლს ხელს უწყო-ბდა თურმე მისი დედა. დარწმუნე-ბულია თუ არა ამაში, შევარდნილა სახლში, ჯერ თავისი სიდედრი მო-უკლავს, ცოლი და მერე თავი მო-იკლა..

# ნინოობა სოხუმში

სწორედ წრევანდელი ნინოობა სამუდამოდ წაუშლელი იქნება სო-ხუმელთა გულიდან: ის ისე მრავალ-მხრივ საყურადღებოდ ჩატარდა. ჯერ ისევ 18 იანვარს დილით გავრცელდა ხმა, რომ სობოროში 14 იანვარს მწირველი იქნება ყოვლად უსამღვ-დელოესი სოხუმის ეპისკოპოსი ან-დრიაო. სოხუმელმა ქართველობამ ამას ეჭვის თვალით შეხედა, რად-განაც სასულიერო მთავრობის წარ-მომადგენელთა მხრით ასეთს ყურა-დღებას არ ვიყავით ჩვეულნი. თან ამ ეჭვს ის გარემოება აძარწყლებდა, რომ ეპ. ანდრიამ ჩამოსვლის თანავე უბრძანა, მოეწყოთ ქართული ხორო და ყოველ-კვირა-უქმეს მასს კარის ეკლესიაში ქართულად ეწირა. მაინც დიდ-ძალი ხალხი წავიდა სალა-მოს ლოცვაზე, რომელიც ქარ-თულად შესრულებული იქმნა. გალობდა ქართული ხორო ბ. ნ. ურუშაძისა. მეორე დღეს კი ადგილო-ბრივ ტაძარს დიდძალი ხალხ-მლო-ცველი მოაწყდა. ქართველთა მაღა-ზი-სავაჭროები დაკეტილი იყო. ქარ-თველობა არ მოსტყუვდა: წირვა სრულდებოდა ქართულად. ქარ-თულად გალობდა ხორო ბ. ურუშა-ძისა. აი წირვა გამოიყვანეს, და მღ-ვდელ-მთავარმა გულწრფელი სი-ტყვით მიმართა მლოცველთ. თავისს სიტყვას მან წარუმძღვარა მოკლე აღწერა წმიდა ნინოს ცხოვრებისა. სხვათა შორის მან ბრძანა, რომ სა-მი თვეა, რაც აქა ვწირავთ და ჩემდა სამწუხაროდ ვწირავ ცარიელ ეკლე-სიაში, დღესკი ჩემდა სასიხარულოდ სულ სხვა სურათსა ვხედავთ. წმიდა ნინოს სიყვარულმა მოუყარა თავი ამოდენა ზღვა ხალხსაო?.. და სხვა. ხალხი აღტაცებით უსმენდა თავისს მღვდელ-მთავარს. და ეს გასაკვირვე-ლიც არაა: იმ ტაძარში, რომელშიაც სულ ახლო წარსულში აღდგომა დილას ქართველებს აუკრძალეს ქარ-თულ სახარების წაკითხვა, დღეს მთე-ლი წეს-რიგი წირვისა სრულდება მღვდელ-მთავრის მონაწილეობით! აქეთ-იქიდან ისმის ჩურჩული: ამას რას ვხედავთ? მოჩვენება ხომ არ არის?—ხალხი უცბად შეჯგუფდა და გადასწყვიტა, მადლობა გადაეხადა და მრავალ-წლობით დაჩაგრულ ქარ-თველთა გულიდან ამონაკვნესი წრფელი სალამი გარდაეცა მღვდელ-მთავრისათვის. ის შეუმჩნევლად წა-ბრძანებულიყო თავის ბინაზე. ხალ-ხმაც იქით გასწია. დაინახა თუ არა ზღვა ხალხი, გამოვიდა და მიეგება მათ, ხოლო თავად ნიკო ყარამანის ძე თავდგირიძემ მოკლე, მაგრამ გრძნობიერ სიტყვით მიმართა და ხალხის მაგიერ მადლობა გადაუხა-და. სხვათა შორის მან უთხრა: თუმ-ცა თვითოეულ მორწმუნის წმინდა უფლებაა თავის დედაენაზე აღუდგი-ნოს მხურვალე ლოცვა უფლისადმი, გარნა ჩვენ ამას მოკლებულნი ვიყა-ვით; ასეთი მამაშვილური მოქცევით როდი გვანებივრებდნენო... ეპ. ან-დრიამ უპასუხა, რომ ეს მისი მოვა-ლეობაა და ყოველთვის ეცდება პირნათლად აღასრულოს. ხალხ-ში კი დიდი ჩოჩქოლია. ზოგი-ერთი გულჩვილნი იცრემლებიან. ყველას სახეზე აღტაცება ეტყობა. რა იყო მიზეზი ასეთი აღტაცებისა? რა მოხდა? მიზეზი ისაა, მკითხველო, რომ რაც აქ საკუთარი საეპისკოპო-სო კათედრა დაარსდა, ისე მოეწყო საქმე რომ ყოველ ნაბიჯზე ცდილო-ბდნენ როგორმე დაემტკიცებინათ, არარად ექციათ ის ენა, რომელზედაც მეოთხე საუკუნიდან ისმოდა სახარება და იდიდებოდა ძე დავითისა მთელს ამიერ კავკასიაში. სკოლებიდან ხომ განდევნილი იყო და იყო, ხოლო წმიდა ტაძრიდანაც განდევნეს. ასე გასინჯეთ, თვით აღდგომა დილას ქართველ მღვდლებს აღარ მისცეს ნება ქართულად წაეკითხა წმიდა სახარება! ეს საზოგადოთ, კერძო ცხოვრებაში უარესს სჩადიოდნენ, კერძო ხასიათის მღვდე ლ-მოქმედე-ბანიც, მაგ. ნათვლა, წესის აგებაც—აღკრძალული იყო. ამ სტრიქონების დამწერს პირმშო შვილი მოუკვდა, და ვერავითარმა ხვეწნა-მუდარამ ველარ გასჭრა და ბერს სურვილი ველარ აუსრულეს; ქართველმა მღვ-დელმა ქართულად აღარ აუგო წესი! ასეთს მდგომარეობაში იყო ქარ-თველობა მაშინ, და რა გასაკვირვე-ლია, რომ დღეს ეპ. ანდრიას მოქმე-დებამ ყველა ასიამოვნა!?

**სოხიკო.**

# მცირე შენიშვნა
(წერილი თელავიდან).

ყველამ, თელავში მომსვლელთ, თუნდ რამდენიმე კვირით, იციან, რომ აქ არსებობს წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი („ზავედენიე"), რომე-ლიც მოთავსებულია ირაკლი მეო-რის ძველ სასახლეში, იციან ქართ-ველთ გარდა რუსთაც, უცხოელთაც და ვისაც თელავში უხდება ყოფნა უნახავად არა სტოვებენ.

ეს არა სცოდნია თელავის ვაჟთა პროგიმნაზიის ინსპექტორს ბ-ნ ნი-კიტსკის, რომელიც ამავე დროს წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის ინსპე-ქტორადაც ითვლება. ბ-ნი ნიკიტსკი ეს მეორე წელიწადია თელავში იმ-ყოფება, ამ ქალთა სასწავლებლის ინსპექტორადაცაა და არა მგონია აქამდე არ იცოდეს მისი ისტორია, ან არ წაეკითხოს წიგნაკი „მოკლე ისტორია თელ. ქალთა წმ. ნინოს „ზავედენიისა" გამგე. წევრის ქ-ნ მი-ტროფანოვის მიერ შედგენილი, სა-იდანაც აშკარად გაიგებდა წარსულს და აწმყოს. ამასაც რომ თავი დავა-ნებოთ, ბ-ნ ნიკიტსკის არ შეიძლება ყურადღება არ მიექცია ერთ თაღ-გადაქნილ პატარა ოთახისათვის (წი-ნად აქ მოთავსებული იყო ბიბლიოთე-კა). ამ ოთახის კარების მაღლა კედელ-ში ჩასმულია მარმარილოს ქვა ვარაყი-ანი ასოებით რუსულის წარწერით: „Здѣсь послѣдовала кончина Грузинскаго Царя Ираклія Теймуразовича 11 Января 1798 года, дворецъ сей исправленъ по приказанію Намѣстника Кавказскаго Князя Воронцова въ 1845 году". ხოლო ცალკე დაფაზე ქართულად აწერია: „აქა აღსრულდა საქართველოს მეფე ერეკლე თეიმუ-რაზის ძე ია-ს იანვარსა ჩღჟჱ წელს—წარწერა ესე ქმნილ არს და სასახლე გასწორებულ არს განკარგულებითა კავკასიის ნამესტნიკის კნიაზის ვო-რონცოვისათა, რომელმაცა განიხი-ლა ძველი სასახლე საქართველოს მე-ფეთა ქალაქსა შინა თელავსა ით ნო-ემბერსა ჩყმე წელსა".

ყველა ამის შემდეგ ამ სასწავლე-ბლის ინსპექტორი ბ-ნი ნიკიტსკი ნინოობის დღეს 14 იანვარს წმ. ნინო-ობის აქტზე, ანგარიშში, სადაც ეხე-ბა ამ სასწავლებლის ისტორიას ამბობს: „სასწავლებლად გადაკეთდა ძველი სასახლე ქართველ თავადიშვილებისაო", „бывшій дворецъ грузинскихъ князей"... და ამავე დროს ბ-ნ ნი-კიტსკის არ შეიძლება არ სცოდნო-და, რომ ამ სასახლეში უწინ არც თავ. ვახვახიშვილები სცხოვრობ-დნენ და არც თავ. რუსიევები და რად დასჭირდა ირაკლი მეორის მე-ფის მაგიერ თავადათ მონათვლა. ეს გაუგებარია. ან იქნება საზოგადოე-ბისა და მოსწავლეთა წინაშე ამ ად-გილის სისწორით გადაცემა შეუსა-ბამოდ მიაჩნდა, მაგრამ იგი, ამავე დროს თუ კი „წითელი ოთახის" ხსენებას არ მოერიდა, უფრო უსუ-სურ მოწაფეთა წინაშე, ნუ თუ ის-ტორიულ სიმართლის თქმა ცოდვათ ჩაეთვლებოდა. ამას გარდა ბ-ნ ნი-კიტსკის თავის ანგარიშში კახეთის თავად-აზნაურობა უნდა მოეხსენე-ბინა ამ სასწავლებლის დაარსების ისტორიაში, რომელსაც დიდი ამაგი მიუძღვის და ეხლაც ყოველ წლივ 1000 მან. ეხმარება.

არ ვიცით ბ-ნ ნიკიტსკის შეხედუ-ლობა ჩვენს ისტორიაზე ან საზოგა-დოდ ქართველებზე, მხოლოდ მის მიერ რწმუნებულ ვაჟთა პროგიმნა-ზიაში, რომელიც ადგილობრივ სა-შუალებით ინახება, არც ერთი ქა-რთველი მასწავლებელი არ არის, გარდა მღვდლისა, მაგრამ ეს საკითხს არ შეეხება, ამას თავი დავანებოთ და ის კი ცხადია, რომ ყველა სასწა-ვლებლის უფროსმა ზედმიწევნით უნდა იცოდეს მისდამი რწმუნებულ სასწავლებლის ისტორია და სხვა-საც ასე გადასცეს. **დამსწრეთაგანი.**



ივანე პეტრეს ძე ფალიაშვილი, დღევანდელ ბენეფისის გამო სახაზინო თეატრში.

# მოწეირლი ამბები

**ს. ყვარელი** (კახეთი). ყველასათ-ვის ცხადია, რომ დღეს კახელები კუ-ლტურულად ბევრად ჩამორჩენილია არიან დანარჩენ ჩვენ მოძმეებზედ. უცხო, რომელიც პირველად მოვა კა-ხეთში და აღტაცებული დარჩება კა-ხეთის სიმშვენიერით, დარწმუნებული იქნება, რომ მკვიდრნი ამა ქვეყნი-სა ყოველაფრით კმაყოფილნი და უზრუნველნი იქნებიანო., საუბედუ-როდ ეს ასე არაა. იმ დროს როცა პატარა გურია მოფენილია სკოლე-ბით, სამკითხველო-წიგნსაცავებით, აფთიაქებით და სხვა საკულტურო დაწესებულებებით; იმ დროს, რო-ცა იქ დიდნი და პატარანი, გლეხნი და თავადნი, მდიდარნი და ღარიბნი ყველანი გაფაციცებით ზრუნავენ თავიანთ სულიერ მოთხოვნილებებ-ზე, ჩვენ, მშვენიერ კახეთის შვილნი, მაგას არ დაგიდევთ.

ამ ბოლოს დროს სოფელს გამო-ფხიზლება ეტყობა, წინ მიდის, ცდი-ლობს სხვას აღარ ჩამორჩეს.

ამ ორი თვის წინად ს. ყვარელმა განიზრახა თავის ხარჯით დაეარსე-ბინა ქსენონი და ფოსტა-ტელეგრა-ფის განყოფილება. ამ კეთილ სა-ქმეში თაოსნობა ეკუთვნის ყველა-საგან პატივ ცემულ თავ. იურია მიხეილისძე ჭავჭავაძეს, რომე-ლიც ერთად ერთი კაცი ამ სო-ფელში სოფლის ქომაგი და მზრუ-ნველი. სოფელმა შეადგინა ოქ-მი და სადაც ჯერ იყო გაგზავნა, სა-იდანაც უკვე მოვიდა ნებართვა. ამ რიგად დიდი ხნის საწადელი აგვი-სრულდა. 2—3 თვეში უკვე გვექნება ქსენონი და ფოსტა-ტელ. განყოფი-ლება, რომლითაც სარგებლობა შე-ეძლება ახლო მახლო სოფლელებს: ზედა გავაზს, ქვედა გავაზს, კუჭა-ტანს და ხაჩმიანს. **მიწის მუშა.**

# ჩინეთის რესპუბლიკა
## დეპეშები.

პეტერბურგში მყოფ ჩინეთის სა-კონსულოს შენობაზე რესპუბლიკის ბაირაღი ფრიალებს.

ამბობენ, რომ პეტერბურგში მყოფ ჩინეთის ელჩს, ჩინეთის სარესპუბ-ლიკო კაბინეთში მინისტრად იწვე-ვენო.

**პეკინი.** ვაივუბუმ უცხო სახელმ-წიფოთა წარმომადგენლებს დაუგზა-ვნა სამეფო გვარეულობის ტახტი-დან გადადგომის ბრძანების ასლი და იუანშიკაის განკარგულების გამო-აცნობა, რომ დროებითი მთავრობის შედგენამდის ძველი სამმართველო დაწესებულებანი იწარმოებენ.

**მუკდენი.** 31 იანვარს ფინსუანჩე-ნელ რევოლიუციონერებს შეტაკება მოუხდათ მთავრობის ჯართან.

**მუკდენი.** რესპუბლიკის აღიარე-ბის ბრძანებამ დიდი მხიარულება გა-მოიწვია ჩინელთა შორის. მაგრამ რადგან გენერალ-გუბერნატორისა და პოლიციურ ჯარების მთავარმარ-თებლის დამოკიდებულება ბრძანე-ბისადმი გამოურკვეველია, ყველას ჯერ-ჯერობით ეს გამოურკვევლობა აწუხებს.

**პეკინი.** ქალაქში მშვიდობიანობაა. არავითარი მანიფესტაციები და დე-მონსტრაციები არ მომხდარა.

**მუკდენი.** სათათბირო კომიტეტის წევრებმა მენსილუანმა და ტუნტერ-შენმა „უშიშართა" საზოგადოება დაარსეს, რომელიც რესპუბლიკას უნდა ებრძოლოს.

# იტალია-ოსმალეთის ომი
## დეპეშები.

**სტამბოლი.** მინისტრთა საბჭომ დაადგინა, რა წამს იტალიის ფლო-ტი ეგეის ზღვაზე მოქმედებას დაი-წყებს, ოსმალეთიდან განდევნონ იტალიის ყველა ქვეშევრდომნი.

**რომი.** ოფიციოზი „პოპოლო-რომანო" ეხება სამშვიდობო შეთან-ხმებას და ამბობს: თუ კალიფატს იმიტომ დავტოვებთ, რომ პატივსა ვსცემთ მაჰმადიანთა სარწმუნოებას იტალიას ამის წინააღმდეგი არა აქვს რა; ფულის შესახებ ოფიციო-ზი ამბობს: საიდ-ფაშამ და სალონი-კის კომიტეტმა განა არ განაცხადეს, რომ საზიზღარ ლითონის შესახებ ლაპარაკიც კი არ გვსურსო.

# სპარსეთის საქმეები
(დეპეშები).

**თავრიზი.** ახალმა გუბერნატორე-ბმა პროვინციაში წესრიგი აღადგი-ნეს. ხოი-ურმიის-გზაზე სრული სი-წყნარეა.

**ლონდონი.** [illegible] სპარსეთის საქმეების შესახებ [illegible] მთავრობასა [illegible] თის ეროვნული მთავრობა მტკიცე ნიადაგზე დამყარებულიო. რუსეთმა ჯარის გამოყვანა უკვე დაიწყო. ინ-გლისი თანახმაა მონაწილეობა მი-იღოს სპარსეთის სესხში. ინდოეთი გაიღებს 500000 გირვანქა სტერ-ლინგს, ინგლისი—ამდენსავე და რუ-სეთი 100,000.

**თეირანი.** ხოროსანიდან ამბები მო-დის, მაჰომედ-ალის სასარგებლოდ დაწყებული მოძრაობა წყნარდებაო.

# დეპეშები
(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

3 თებერვალი.

## საზღვარ-გარედ.

**ზაგრები.** მუშებმა და სტუდენ-ტებმა ბანისა და უნგრეთის მთავრო-ბის წინააღმდეგ დიდი დემონსტრა-ცია გამართეს. საეროზო დარაჯებ-თან შეტაკება მოუხდათ. ორივე მხრი-დან დაჭრილთა რიცხვი საგრძნობე-ლია. 15 კაცი დააპატიმრეს.

**ბელგრადი.** სკუპშჩინა დაითხოვეს. ახალი არჩევნები 1 აპრილს მოხდება.

**ბერლინი.** რეიხსტაგი. პრეზიდენ-ტად აირჩიეს თავისუფალი ძოაზრე კემპფი. პაამეს მაგიერ, რომელმაც ვიცე-პრეზიდენტობაზე უარი განა-ცხადა, არჩეულ იქმნა თავისუფალი მოაზრე დოვე.

**ლისაბონი.** სენატმა მიიღო კანო-ნი საკონსტიტუციო გარანტიების აღდგენის შესახებ.

**გიბრალტარი.** პოლიციამ დააპა-ტიმრა გერმანიის ქვეშევრდომი, რო-მელიც ბატარეიდან ფოტოგრაფიულ სურათს იღებდა.

**პარიზი.** პალატა. საზღვაო მინის-ტრი დელკი, იცავს საზღვაო პროგ-რამას, რომელიც 1919 წელს იქნება განხორციელებული და 1398 ფრანკი დაჯდება. საფრანგეთმა ისეთივე ღო-ნისძიებანი უნდა მიიღოს ეროვნულ დაცვისათვის, როგორიც ინგლისმა და გერმანიამაო. (ტაშის ცემა). საზ-ღვაო პროგრამმა. ხმის უმრავლესო-ბით მიიღეს.

**კოლომბო.** თავი მოიკლა რუსე-თის საელჩოს მოხელე ტრიფონოვ-ჩოკოვმა.

**ლონდონი.** პარლამენტში მეფემ სეფე სიტყვა წაიკითხა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ყველა სახელმწი-ფოებთან კეთილი განწყობილება იქმნება დაცულიო. სპარსეთის მდგო-მარეობა დიდი ყურადღებას იქცევს, მინისტრს რუსეთის მთავრობასთანა აქვს მოლაპარაკება, სპარსეთში ისე-თი პირები შევქმნათ, რომ ადგილო-ბრივ მთავრობას არ გაუჭირდეს წესრიგის აღდგენა. სეფე სიტყვა აღნიშნავს, რომ ინგლისი კვლავ არ ჩაერევა ჩინეთის საქმეებშიო.

**ვენა.** ერენტალი უგრძნობოდაა. ძ. სისხლის დენა კვლავ აქვს.

**პარიზი.** პალატაში იხილავდნენ საარჩევნო რეფორმას. სხდომის დროს დიდი ხმაურობა იყო. განსაკუთრე-ბით რადიკალები ხმაურობდნენ, რადგანაც ჰშიშობდნენ რესპუბლი-კანურ პარტიას უმრავლესობის მნი-შვნელობა არ დაეკარგოსო.

## რუსეთი.

**პეტერბურგი.** „რუსკოე ზნამიას" რედაქტორს დუბროვინს, რომელ-საც სათათბიროს წევრი გუჩკოვი ცილისწამებისათვის უჩიოდა, ორი კვირით დაპატიმრება მიუსაჯეს.

**ოდესა.** ნოვოროსიის უნივერსი-ტეტში შარშანდელ არეულობის დროს მოკლულ იელიცკის საფლა-ვზე მისმა მამამ თავი მოიკლა.

**პეტერბურგი.** გაზეთ „გოლოს ზე-მლის" 1 თებერვლის ნომერი აკრძა-ლეს. რედაქტორს პასუხისგებაში აძლევენ. აგრეთვე აკრძალეს ჟურ-ნალი „სოვრემენნიკის" პირველი ნომერი. რედაქტორს ბოკოვს 129 მუხლი სპირველი პუნქტის ძალით პასუხისგებაში აძლევენ.

**მოსკოვი.** მოასვენეს მილიუტინე-ბის ცხედარი. მათ პარასკევს მიაბა-რებენ მიწას „ნოვოოვიჩის" მონა-სტრის სასაფლაოზე.

**მოსკოვი. საფრანგეთის სტუმრე-ბი რუსეთში** ქალაქის თავმა სადი-ლი გაუმართა საფრანგეთის სტუ-მრებს. ღამის ათ საათზე სტუმრები პეტერბურგს გაემგზავრენ.

**პეტერბურგი.** დილით მოვიდნენ მოსკოვიდან პარიზის მუნიციპალურ საბჭოს წარმომადგენელნი. საფრან-გეთის სტუმრები ეწვიენ საფრანგე-თის ელჩს. საღამოს მათ საფრანგეთის საელჩოში სადილი გაუმართეს.

**ტომსკი.** თოვლის ნამქერმა 60 კა-ცი დაალრჩო.

**ატკარსკი.** რიზან-ურალის გზაზე ქარ-ბუქი და ნამქერებია. მატარე-ბლების მიმოსვლა შეჩერებულია.

---

და უძლიერეს კაცებს ამოუდგა გვერდში — ვერავითარი საბუთია. ის ბ. ნიკოლაძე, რომელიც ოდე-სღაც კალამს მარჯვედ ხმარობდა და ნ. სკანდელის ფსევდონიმით სწერდა, დიდი ხანია მოკვდა.

ეხლა განვიხილოთ მეორე ბრალ-დება რომელიც ჩვენ (ბ. ზდანოვი-ჩისა და მე) გვწამებს ბ. ნიკოლაძე.

პეტერბურგში იყო სხდომა, რო-მელშიაც მონაწილეობას ღებუ-ლობდნენ სხვა და სხვა უწყებების წარმომადგენლები. ბ. ნიკოლაძეც ბრძანდებოდა იქ, როგორც ფოთის ქალაქის თვითმმართველობის წარ-მომადგენელი და იმეორებდა ისევ იმავე ძველ ლათაიებს მარგანეცის მრეწველთა კრებულის წესდების შეცვლის შესახებ.... რასაკვირვე-ლია იმ მხრით, რომ კრებულის სა-ბჭოს მოქმედებას მუხრუჭი მოეჭი-როს. თუ ბ. ნიკოლაძე ქალაქის და ერობის თვითმმართველობას გაი-ხსენებდა, იმიტომ კი არა, რომ მა-რგანეცის კრებულის წესდების უფ-ლებები გაეფართოებინა და ის უფ-ლებები შეეტანა შიგ, რაც აკლია, არამედ იმიტომ, რომ ის დაბრკო-ლებანი მოექცია შიგ, რომელნიც ერობისა და ქალაქის თვით-მმართვე-ლობის კანონებშია, ე. ი. საბჭოს წევრები მთავრობის დაემტკიცებინა, არჩევნები მთავრობის კონტროლის ქვეშ ყოფილიყო, ყოველივე საბჭოს გადაწყვეტილება მთავრობის კონ-ტროლის დარჯაკში გაეტარებინა. ეს სჩანს მთელი მისი ბაასიდან ამ სხდომაზე, ესა სჩანს მთელის მისის მოღვაწეობიდან მარგანეცის მრეწ-ველთა კრებულის საქმეების შესახებ. ესა სჩანს თვით იმ სხდომის დება-ტებიდანაც. მადლობა ღმერთს, იმ ადგილებში, რომელიც ჩვენ წრე-ვანდელ კრებაზე წავიკითხეთ და კო-რესპონდენტებმაც გაზეთში მოიყვა-ნეს, ბ. ნიკოლაძეს არც ბ. ზდანოვი-ჩი ეკამათება, არც რომელიმე მარ-განეცის მრეწველი, არამედ მოხელე, ერთ-ერთი უწყების წარმომადგენე-ლი. ბ. ჩერვინსკი ეკითხება: რაღა კონტროლი გნებავსთ, ან რაში უნ-და გამოიხატებოდეს ეს კონტრო-ლიო. ეს შეკამათება გამოიწვია მან, რომ ბ. ნიკოლაძემ მოითხოვა კონ-ტროლის გაძლიერება და იმ სფერა-შიაც უნდოდა შეტანა კონტროლი-სა, რომლისგან კრებული მარგანე-ცის მრეწველთა განთავისუფლებუ-ლია, ე. ი. არჩევნებში, არჩეულთა დამტკიცებაში და სხვ. ბ. ნიკოლა-ძე სიტყვას ჩვეულებრივად ბანზე აგდებს, როცა ქალაქისა და ერო-ბის თვითმმართველობაზე თვალს გვიქნევს, ვინაიდან ზოგიერთში მარ-განეცის მრეწველთა თვითმმართვე-ლობა უფრო ფართოა, ვიდრე ქალა-ქებისა და ერობის ბ. ნიკოლაძეც გაცხარებული იყო და უნდოდა მარ-განეცის კრებულს მაგრად მუხრუჭი მოსჭეროდა ისეთი უტაქტობა როდი ჩაიდინა, რომ მოხელეებიც კი მო-თმინებიდან გამოიყვანა: რა კონტ-როლი გნებავთო? ამაზედ გაბრა-ზებულმა ნიკოლაძემ მარგანეცის მრეწველთა კრებული ქუჩის მყვირა-ლა ბრბოდ მონათლა „Орава") *) ამის შემდეგ გამოდის ბ. ნ. ნიკოლაძე და „ზაკავ. რეჩის" ფურცლებზე გვე-ფიცება, მე ვსცდილობდი მარგანეცის მრეწველთა კრებულისთვის ის უფ-ლება მიმენიჭებია, რაც ქალაქის და ერობის თვითმართველობასა აქვსო. რად ედავებოდა ბ. ნ. ნიკოლაძეს ბ. ჩერვინსკი და რად ეკითხებოდა „რა კონტროლი გნებავთო", ან მარგანე-ცის მრეწველთა წარმომადგენელი იმდენად გაუგებარნი იყვნენ, რომ ბ. ნიკოლაძის მოწყალება ვერ მი-იღეს, თუმცა მართალია ისიც, რომ „დანიელთა საჩუქარიც საშიშარია"? ან და წყალობას უპირებენ და უფ-ლების გაფართოებას იმ ხალხს, რო-მელიც ქუჩის მყვირალა ბრბოდ მო-ნათლა („Орава")? კმარა ამდენი ჯამ-ბაზობა!

ერთი ბ. ნიკოლაძის დროის მშვი-დი და წყნარი მოღვაწე ამბობდა ხოლმე ბ. ნიკოლაძის შესახებ: „სა-წყალი ნიკოლაძე, როგორ დაეცაო" ეს არის ერთად ერთი ეპიტაფია, რო-მლითაც უნდა შეიმკოს ნიკოლაძის მოღვაწეობა; ეპიტაფია, რომელშიაც. ქრისტიანობრივი სიბრალული სჩა-ნს, თუმცა ამ სიბრალულში ბევ-რია ზიზღიც დაცემულის საზო-გადო მოღვაწის შესახებ.

„საწყალი ნიკოლაძე, როგორ დაე-ცა"—გავათავებთ ჩვენც ამით მას-თან ბაასს.

**კიტა აბაშიძე.**

*) Матер. გვ. 39—41.

# თეატრი და ხელოვნება

**ვლ. ალექსი-მესხიშვილის ბენეფისმა,** როგორც მოსალოდნელი იყო, დიდძალი საზოგადოება მოიზიდა ქართულს თეატრში, ხუთშაბათს. ბევრნი იძულებულნი იყვნენ უბილეთობისა გამო უკანვე დაბრუნებულიყვნენ. წარმოადგინეს ჰაუპტმანის ერთი უშესანიშნავესი პიესა **„დაძირული ზარი“**, რომლის შინაარსი შემდეგშია: ზარების ჩამომსხმელი ხელოსანი **ჰენრიხი (ვლ. მესხიშვილი)** დაუღალავად შრომობს თავის სახელოსნოში და ზარებს ამზადებს, რომელნიც ათას სამრეკლოდან მშვენიერის ხმით ქებას ასხამდნენ შემოქმედსა. მისი უკანასკნელი შრომის ნაყოფი, მისი სული და გული, ახალი ზარი თავის წკრიალა ხმით მალე მრავალთა გულს მოინადირებს, მაგრამ ბოროტი სული ხელს შეუშლის ამ დიდებულს ხელოსანს. სწორედ იმ დროს, როდესაც ზარით დატვირთული ურემი მიაქვთ მთებში, რომ იქ უმშვენიერეს ტაძრის სამრეკლოზე ჩამოჰკიდონ, ურემი გატყდება, ზარი დაგორდება და ჩაინთქმება ტბის ძირზე. არც თვითონ ჰენრიხს დაემართება კეთილი. ისიც თავპირ-დამტვრეული დაგორდება და გონმიხდილი ღელეში დაეცემა. მაგრამ აქ გამოჩნდება მომხიბვლელი **ფეია რაუტენდელაინი** (ქ-ნი პიერეტა), რომელიც თავისი ჯადოსნური კოცნით აუხელს თვალებს, ფეხზე აღადგენს და სულ ერთიანად გარდაჰქმნის. იგი მისგან გაიგებს, რომ მისი ზარი მხოლოდ ბარელებისთვის არის და არა მათთვის, ვინც რომ მწვერვალისაკენ მიესწრაფებიან. და აი იგი ზეკაცურ იდეებით იმსჭვალება. მას ჰსურს ჩამოასხას ახალი ზარი, რომლის ხმაშიაც ჩაიკარგება ყველა ზარების ხმა, იგი ზურგს აქცევს ბარს და მიისწრაფის მწვერვალისკენ. ვერც ცოლის წუხილი, ვერც პასტორის (**მატარაძე**) რჩევა, ვერც მთელი საზოგადოების ძახილი, ვერ შეუცვლის მას გარდაწყვეტილებას. რას აქნევს ქვეყნიურს, როდესაც იგი შევა ახალს სამეფოში. მართალია ამ მწვერვალთა სამეფოს არა აქვს სახელი, მაგრამ თავისთავად მოვა ეს სახელწოდებული, როდესაც იგი მიაღწევს წერტილს თავის ოცნებისას. სოაცარის სიმკაცრით იგი თავიდან მოიწყვეტს თავის საყვარელ ცოლ-შვილს და შორს განდგომილი დაუღალავად მუშაობს ამ ახალი ზარის ჩამოსასხმელად. მაგრამ მალე ზეკაცურს აღმაფრენას ელება ბოლო. ოცნება-ოცნებად რჩება და რეალური ქვეყანა თავის ანდამატურის ძალით მწვერვალიდან ძირს ჩამოაგდებს ჰენრიხს. ადამიანური გრძნობანი იმარჯვებენ მის ზეკაცურ ბუნებაზე. აი მის თვალწინ მოჩვენება-მოჩვენებაზე მიჰქრის. მას ეცხადებიან თავისი ანგელოსი ბავშვები, რომელთაც სურა მოაქვთ მლაშე წყლით სავსე: ეს არის მისი ცოლის ცრემლები, რომელსაც განსვენება წყლის თეთრს ზამბახზე უპოვნია. ამ დროს გაისმის დაძირული ზარის ხმა, ეს დაუცხრომელი სიმბოლო ქვეყნიური დღესასწაულისა. ჰენრიხი თავიდან მოიშორებს რაუტენდელაინს, რომელიც პირველად ზექვეყნიური იდეალებით აღაფრთოვანა, წყევლა-კრულვით ჰგმობს თავის შემონაქმედს და სასოწარკვეთილებაში ჰლევს სულსა, რომ იგი ველარასოდეს ვერ მიახწევს თავის საოცნებო მწვერვალის სამყოფელს.

როგორც საზოგადოდ ყველა სიმბოლიურს პიესას, ისე ჰაუპტმანის „დაძირულს ზარს“, სადაც ინდივიდუალური და სიმბოლიური ნაკადული ფეიერულ სურათებში მოსჩქეფს, საჭირო არის დიდი ყურადღება მიექცეს და ყოველი დეტალი თავის ადგილას იქნეს დაცული, რომ ავტორის შემოქმედების ილლიუზიამ შაბლონის სახე არ მიიღოს სცენაზე. ამ მხრით რეჟისორის ხელი ემჩნეოდა ხუთშაბათის წარმოდგენას და აშკარად სჩანდა, რომ იგი სცდილა, ქართული სცენის სიღატაკე რამოდენადმე მაინც დაეფარა. სურათები შეძლებისდაგვარად კარგს შთაბეჭდილებას ახდენდა. თვით მოთამაშეთაც დაკვირვება და მომზადება ეტყობოდათ. განსაკუთრებით ეს ითქმის ახალგაზდა მსახიობზე დ. მგალობლიშვილზე, რომელიც **ქაჯის** როლს ასრულებდა. მისი სიკარგე გამოიხატა არა მარტო როლის ცოდნაში, არამედ თავის დაჭერაში. უეჭველია, სხვა მის ადგილას როლის საზღვრებს გადაჰლახავდა და მეტისმეტი შარჟით კლოუნობაზე დასდებდა თავს. ამ დღეს მგალობლიშვილის თამაში ბუნებრივი იყო, უბრალო, სადა და ამ სიმარტივემ სწორედ ღირსეული ჯილდო არგუნა მას, როდესაც საზოგადოებამ შიგ შუა მოქმედებაში ძლიერი ტაში უძღვნა.

კარგი რაუტენდელაინი იყო პიერეტაც. მას აქვს მეტად ტკბილი და მომხიბლავი ხმა. ხმის სიმდიდრე მას მეტ შანსს აძლევდა უფრო კეკლუცი რაუტელნდელაინი ყოფილიყო. იგი ნამდვილი ფერია იყო პირველს მოქმედებაში, როდესაც ფუგვარს ეკამათება და ოქროს ნაწნავებს ივარცხნიდა. ხოლო შემდეგში მან ფერიის სიმსუბუქე, ჰაეროვნება ვერ გვაჩვენა. რამდენადაც ფუგვართან და თავის ანარეკლთან ტიტინით მომხიბვლელი იყო, იმდენადვე ტლანქი, თუნდ ვთქვათ, სხვა ფერიებთან ცეკვის დროს. საზოგადოდ ცოდვა იქნება არა ვთქვათ, რომ პიერეტა „დაძირულ ზარში“ მგალობლიშვილის შემდეგ უპირატესობის ღირსი იყო და საქებარი.

ვერ ვიტყვით, რომ თვით მობენეფისემ დაგვაკმაყოფილა. მისი ჰენრიხი სუსტი ჰენრიხი იყო. ჯერ ერთი, როლი არ იცოდა. მეორე, ტემპერამენტი ჰენრიხისა ფლეგმატიურია, ყოველ სიტყვას თანასდევს ჰენრიხის სულის-მეტყველებაც. იგი სულ სხვაა რაუტენდელაინთან, ანუ თავის მეუღლე—მაგდასთან (ქ-ნი დავითაშვილი), პასტორთან, ანუ ხალხთან. ჰენრიხი, რაუტენდელნაინთან ბავშსავით მოტიტინე ჰენრიხი უეცრივ გოლიათად უნდა იქცეს, როდესაც ბრბო ეღობება წინ; იგი მზად არის უკანასკნელად დასცხოს ჩაქუჩი და ერთიანად დაამსხვრიოს ამ შავი მასისგან ხელოვნურად გაკეთებული ზარი. მესხიშვილის ჰენრიხს კი ჩვენ მიერ უკვე ცნობილ მესხიშვილის ცნობილივე ჟესტი მისდევდა, რომელიც გვინახავს „აკოსტაში“, „ჰამლეტში“ და სხვა; ასე რომ ამ ორიგინალურს თხზულებაში, სადაც მეტი ინდივიდუალობაა საჭირო, სიმბოლიური ცეცხლით აღგზნება, ბ-ნი მესხიშვილი ნაკლებად ახლოს იდგა ჰენრიხთან და მისი გამომსახველი ილლიუზია ვერ გადაგვიშალა.

კარგი ნიკელმანი-ნულის ბესი იყო ბ-ნი არადელ-იშხნელი, მაგრამ იგი უფრო კარგი იქნებოდა, რომ თავის დროზე სცოდნოდა ჩასვლა-ამოსვლა ჭაში, ასე რომ ერთხელ ქალბატონი პიერეტა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა და საქვეყნოდ ჩასძახა: „ამოდი, ამოდიო!“

რაც შეეხება მაგდას (ქ-ნ დავითაშვილს), დედაბერ ვიტტიხენს (ქილარჯიშვილი), პასტორს (მატარაძე) და სხვებს, ესენი ამ პიესაში მეორე ხარისხოვანი როლები არიან და ყველანი თავის ადგილას იყვნენ: პირველი მეტად მგრძნობიერად სწუხდა ჰენრიხის ავადმყოფობას და მის დაშორებას, მეორე ჩინებულად ჯადოქრობდა, ხოლო მესამემ პასტორის განხორციელებაში მცირეოდენი დისონანსი შეიტანა მაშინ, როდესაც წარმართულ და ქრისტიანულ ელემენტების შეჯახება მოხდება: უცნაურ ჯადოქრის დანახვამ ყველა შეაკრთო, მასწავლებელი (გუნია), დალაქი (გვარაძე), თვით პასტორიც. პასტორი ჯვარს იღებს, მართალია, მაგრამ ეს არის ინსტიქტიური, მაშინალური. ამ დროს იგი აბნეული უნდა ყოფილიყო. მატარაძეს კი მზგავსი არა ეტყობოდა რა. მაგრამ ყველა ეს ისეთი ნაკლულოვანება არის, რომლის მზგავსი ბევრი რამ განმეორდა ამ პიესაში.

საზოგადოდ ვერ ვიტყვით, რომ პიესა ჩინებულად იყო დადგმულიო, არა, შეძლების და გვარად, კარგი იყო და ყველას ეტყობოდათ ცდა, რომ საზოგადოების წინაშე არ გაწითლებულიყვნენ.

მცირეოდენი შენიშვნაც: მსახიობთავის ჩემის აზრით, საჭიროა პლასტიკის გასავითარებლად ცეკვის შესწავლა. ამ მხრით ჩვენი არტისტები საზოგადო სენით არიან შეპყრობილნი, რაიც იმაში გამოიხატა, რომ ფერიებმა უბრალო ფერხული ბალეტის მინაგვარ სახით მაინც ვერ გამოხატაეს.

მობენეფისემ რავდენიმე გვირგვინი და საჩუქრები მიიღო.

დ: კასრაძე.

**ოპერა „რიგოლეტო“.** დღეს ქართულს თეატრში დრამატიული საზოგადოების თანხის გასაძლიერებლად წარმოდგენილი იქნება ჯუზეპე ვერდის ოპერა „რიგოლეტო“ მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ახალგაზდა ნიჭიერი მომღერალნი **ელენე თარხნიშვილი და ვანო სარაჯიშვილი.** იმედია, რომ საზოგადოება ბლომად დაესწრება ამ საინტერესო წარმოდგენას.

**სოხუმი.** წელს ნინოობამ მშვენივრად ჩაიარა. სამწუხაროდ სოხუმში შესაფერი შენობა არაა და ამიტომ იძულებული იყვნენ მოთავენი ბ. სამურიას თეატრში მოეწყოთ საღამო. უადგილობის გამო ბევრი უკან დაბრუნდა. პირველი განყოფილება დაიწყო ნ. ქურიძის ლექსით, რომელიც ავტორმა წაიკითხა. შემდეგ ითამაშეს—„ქარიშხალი“ ელო ანდრონიკაშვილმა, ეფელინა წუწუნავამ, შალვა დადიანმა და ვასო აბაშიძემ და ძალიან მოხდენილადაც ჩაატარეს. ამას მოჰყვა სიმღერები ბ. ილიკო საკაძის ლოტბარობით, რომელმაც სახელ-და-ხელო მოამზადა ხორო. ქ. ელო ანდრონიკაშვილმა რუსულად ითამაშა „выйгришныи билетъ“, ხოლო სომხის არტისტმა აბრამიანმა ორი ლექსი წაიკითხა სომხურად. ბ-ნმა აპოლონ წულაძემ ბევრი აცინა საზოგადოება თავისი სცენებით. დასასრულ იყო ნინოს ცოცხალი სურათი—რის შემდეგაც სცენაზე მოხდენილად ითამაშეს ელო ანდრონიკაშვილმა და ბ. სახოკიამ „ცანგალა“. ამას ლეკური მოჰყვა.—რა თქმა უნდა, არც ზურნა იყო დავიწყებული. ხალხი მხოლოდ დილის 6 საათზე დაიშალა.—შემოვიდა სულ 1821 მ. 27 კ. ხარჯების გამორიცხვით დარჩა წმინდათ: 1148 მ. 53 კ.

ჰამუთ-ბეი.

**ოჩემჩირე** (სამურზაყანო). 29 იანვარს შალვა დადიანის რეჟისორობით გაიმართა ქართული წარმოდგენა. დადგეს მარანდესის „სტუმარი“. მონაწილეთა შორის ირჩეოდნენ ქ-ნი ელენე ანდრონიკაშვილი, ევ. წუწუნავა და დადიანი. წარმოდგენას ხალხი საკმაო დაესწრო. სასურველია რომ ოჩემჩირეში ხშირად იმართებოდეს წარმოდგენები

აქაური.

# სპორტი

## თეატრი „მოდერნი“

**ფრანგული ჭიდაობა.** გუშინ 2 საათზე იჭიდავეს კორშუნოვმა და ფიურსტმა. ჭიდაობა ლამაზი იყო, რადგანაც ფიურსტი მშვენიერი ტეხნიკია და ძლიერ კოხტად ჭიდაობს; მიუხედავად ამისა კორშუნოვმა წააქცია ფიურსტი 16 წუთში „პარტერის რიჩაგით“. გუშინ საღამოს ურსი დაეჭიდა უცნობს, მაგრამ ოცი წუთის ჭიდაობის შემდეგ ვერც ერთმა ვერ გაიმარჯვა. გაბურენკო დაეჭიდა როზს და უკანასკნელმა წააქცია გაბურენკო ორ წუთში. შემდეგ ბურხანის და ლიტვინოვის ჭიდაობა მოხდა: უკანასკნელმა წააქცია ბურხანი 16 წუთში. ძლიერ საინტერესო იყო შავი ნიღაბის და სპულის ჭიდაობა; ეს მესამედ ჭიდაობენ ეს ორი ფალავანი, მაგრამ უშედეგოდ; ხშირად შავი ნიღაბი ძალიან განსაცდელში აგდებდა სპულს, მაგრამ უკანასკნელი საშინელის სისწრაფით გამოუსხლტებოდა ხოლმე, რაც მაყურებელთა აღტაცებას იწვევდა. ჭიდაობა გაგრძელდა ერთ საათს, შემდეგ პოლიციამ ნება არ მისცა გაეგრძელებიათ. შავი ნიღაბი დაჟინებით თხოულობს მხოლოდ 5 წუთს რომ თავის მოწინაღმდეგე წააქციოს, მაგრამ ნებას არ აძლევენ. ხალხმა ორივე მოჭიდავე ტაშის ცემით დააჯილდოვა №№.

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა

**ზამთრობით** (15 ოქტომბრიდან 1911 წ.) (დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

**ტფილისიდან გადის.**

**ბათუმისაკენ:** 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., ხაღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

**ბაქოსაკენ:** 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ, № 6, I—II კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

**ბორჯომისაკენ:** 1) სამგზ. მატარებ. № 9/6ხ, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:** 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 11 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბათუმიდან;** 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

**ბაქოდან:** 1) სამგზ. № 5, I—III კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 07, IV—III კლ. ღამის 9 ს.

**ერევან-ჯულფიდან:** საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზ. № 61/0, I—III კლ. დილ. 8 ს.

**შენიშვნები:** 1) გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

## გემების მიმოსვლა შავ ზღვაზე.

(ზამთარში).

**რუსეთის საზოგადოებისა.**

**ბათუმიდან გადის:** ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს,

**სახალხო გემები** ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

**სახალხო-საქონლის** გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

## უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

—::—

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველან შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩ. 5 და მალაკანის მოედანზე.

# განცხადებანი


**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

გამოცდილმა **მასწავლებელმა**

**ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა** მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

**აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

**იღებს პირობებით.** მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памяти Воронцову).

(თ. 1084.79)

დაიბეჭდა და იყიდება

**ნ. ვ. აბრამიანის**

შემდეგი შრომანი:

I

**სავაჭრო ბუღჰალტერიის სახელმძღვანელო,**

ნავთის მრეწველობისა და ნავთის ქარხნის წარმოებასთან დაკავშირებულ იტალიურ ორმაგ ბუღჰალტერიის სისტემით. მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა ფასი 2 მ. 50 კ.

II

**სარგებლის გამოსაანგარიშებელი ტაბლიცა.**

1—30 დღეში, 1/4—12%-დე, ყოველგვარ თანხისა 1—10000 მანეთამდე.

მეორე გამოცემა, ფასი 45 კ.

III

**ყველასთვის გასაგები ცნობათა წიგნი,**

საბუღჰალტრო კურსების მსმენელ ქალ-ვაჟთა და კანტორ. მომუშავეთათვის, ფას. 30 კ.

ამ გამოცემათა საწყობი **ნ. აბრამიანის** საბუღჰალტრო კურსების ბინაზე, ტფილისი, ნიკოლოზის ქუჩა, № 22. ვინც პირდაპირ საწყობიდან ფასდადებით დაიბარებს, გადასაგზავნს არ იხდის. (10—193—8)

**ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო საავადმყოფო**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

„606“ —11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

**ბ. ა. ნავასარდიანი;** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ზ. გ. ასასაროვი:** 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

**კბილის** საექიმო კაბინეტი **ი. ა. ფრანკისა** 9—2 ს. წამლობა, პლომბის გაკეთება და ხელოვნური კბილების ჩასხმა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

**ი. ა. ფრანკი:** 5—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ. 1074.7)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

**იყიდება სახლი** ოთხი ოთახით და ერთი მა**ღაზიით,** საქალაქო მიწაზედ. მეთერთმეტე საპოლიციო უბანში ვლადიმეროვის ქუჩაზედ. მსურველთ შეუძლიანთ იკითხონ იქავე, **გიორგი შიხაშვილთან.** (1—230—1)

პაპიროსის ქაღალდის ფაბრიკა „კავკაზი“

**ა. ლ. იმნაძისა**

(ქ. ბათუმი, ტფილისის ქუჩა, № 76).

მზადდება საუკეთესო გიგიენური პაპიროსის ქაღალდის წიგნაკების

**ძლიერ ზომიერ ფასებში**

დაკვეთა სრულდება სწრაფად და რიგიანად.

**ადრესი:** Батумъ, Тифлисская N 76. 4.1043.4

სააქციონერო საზოგადოება

**„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბარატორია.“**

იზმაილოვის პროსპექტი, № 27.

**პარიზი 1900 წ. ოქროს მედლები მაკარია 1896 წ.**

**გლიცერინი ველური**

**საშუალება, რომელიც კანს ინახავს ჭორფლისა, ფერიმჭამლისა, სახის სიჭარხლისა, ქარის დაკვრისა და სიცივის გავლენისაგან.**

„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორიის“ საზოგადოება თხოულობს, **რადგან ყალბი ნაწარმოებიც ჩნდება,** მიაქციონ ყურადღება ფირმის სახელწოდებას, რომელიც სამი სიტყვისაგან შესდგება:

**„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია“,**

და ნიშანს საზოგადოებისას. რომელზედაც გამოხატულია ძეგლი **„იმპერატორ პეტრე დიდისა“,** ს.-პეტერბურგში, სენატის მოედანზე დადგმული.

მთავარი საწყობი: ტფილისი, სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა. (13—1296—9)

**სნეულთა**

**ვინც იტანჯება**

ნერვების სისუსტით, სქესობრივ უღონობით, მოხუცებულობის დაჩამჩამებით, სევდის ქარით, (ისტერიით), ნერვალგიით, სისხლ-ნაკლებობით, ჭლექით, ათაშანგით, ვარდის წყლით წამლობის შედეგებით, გულის სნეულებით (გულის ქონით, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა) ძარღვების დადუნებით, ალკოგოლიზმით, ხერხემლის განხმობით, სიდამბლით, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტით, დაქანცულობით და სხვა.

რადგანაც **სპერმინ-პელა** დღითი-დღე უფრო ბევრი საღდება, ამის გამო გასასყიდად ავრცელებენ მრავალ იაფ-ფასიან და ჯანმრთელობისათვის მავნებელ წამლებს, ჩვენი **სპერმინ-პელის** მიბაძულობით.

ამისათვის ჩვენს მოვალეობად მივაჩნია ავადმყოფნი გავაფრთხილოთ ასეთ ყალბ-წამლებისაგან. ყველა მოწონების წერილები ექიმთა და მეცნიერთა დამოწმებანი, რაც კი რამ დაწერილა ზემოხსენებულ სნეულებათა განკურნებაზე, მხოლოდ **„სპერმინ-პელას“** გავლენით მოხდა. ამისათვის ყურადღება უნდა მიაქციოთ სახელწოდებას **სპერმინ-პელა,** ვინაიდან ყველა სხვა წამლები უხეირო წაბაძულებაა **„სპერმინ-პელასი“.**

იმის გამოსარკვევად თუ რამდენად მდარეა ის წამლები, **„სპერმინ-პელა“-ს** დამბარებელთ პირველ მოთხოვნილებისამებრ გაეგზავნებათ ცალკე ბროშურა, სადაც აღწერილია ყოველივე.

Органотерапевтическій институтъ. Профессоръ Докторъ ПЕЛЬ и С-вя.

Поставщики Двора Его Императорскаго Величества—С.-Петербургъ, В. О., 7 лин. 18.

Метцль и К-о. № 1277.

(12.1002.4)

**საყურადღებოდ**